



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 75
29/06/2017

75-03-4-201706291231



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული
ზოგიერთი შტატგარეშე მოსამსახურის პოზიციის პროფესიული საჯარო
მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეთა პოზიციების ფუნქციათა ერთობლიობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, (სამუშაო ჯგუფის 2017 წლის 28 ივნისის ოქმი N1)


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურე - სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში, 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაიქმნას პროფესიული საჯარო მოხელის IV რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობად.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს ამ ბრძანების პირველ პუნქტში გათვალისწინებულ თანამდებობაზე შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელის დანიშვნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა